შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

მასწავლებლის საგნის გამოცდისათვის

სამოქალაქო განათლება

თბილისი

2025

@ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

სარჩევი

შესავალი	4
სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა	5
ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები	10
რეკომენდებული ლიტერატურა	33
სამოქალაქო განათლების ტესტი და შეფასების სქემა	34

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2011 წლიდან ატარებს სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა გამოცდას. სამოქალაქო განათლების ტესტი ამოწმებს საგნის სწავლებისათვის სავალდებულო იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც განისაზღვრა საგამოცდო პროგრამით.

წინამდებარე კრებულის მიზანია, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს, აგრეთვე მასწავლებლობის მსურველებს გააცნოს გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, საგამოცდო ტესტის ნიმუში და ტესტის შეფასების კრიტერიუმები.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოცდებს 2016 წლიდან ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ატარებს. ფორმატი მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. აპლიკანტი დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი ნაბეჭდ პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.

ტესტის სტრუქტურისა და თითოეული ტესტური დავალების აღწერილობის წინასწარ გაცნობა დაგეხმარებათ გამოცდის უკეთ ჩაბარებაში. ტესტირების დროს საჭიროა დავალების ტექნიკური თუ შინაარსობრივი მოთხოვნების მაქსიმალური სიზუსტით დაცვა და პასუხების ფურცელზე დაკვირვებით მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 55, ხოლო ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო - 4 საათი.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ სამოქალაქო განათლების გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

მასწავლებლის საგნის გამოცდა

სამოქალაქო განათლება

2025 წლის საგამოცდო პროგრამა

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს საზოგადოებრივ მეცნიერებებში (საბაზო და საშუალო საფეხური).

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
I. პროფესიული უნარ-ჩვევები	
1. კვლევა	1.1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის გაანალიზება; 1.2. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და მრავალმხრივი გაანალიზება; 1.3. საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება. 1.4. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი საზოგადოების ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში. 1.5. სამოქალაქო ცხოვრების, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; 1.6. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლების ანალიზი; 1.7 სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის მოქალაქეთა შესაძლებლობების შესწავლა-ანალიზი; 1.8 საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის სამოქალაქო მონაწილეობითი პროცესების მნიშვნელობის ანალიზი;
2. შეფასება	2.1. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა; 2.2. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება; 2.3. მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება. 2.4 კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაში დემოკრატიის მიზნების, ღირებულებებისა და პრინციპების ასახვის შეფასება; 2.5. ქვეყნის დემოკრატიაში მოქალაქეების როლის, მათი პირადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების შეფასება;

II. პროფესიული ცოდნა	
1. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები**	1.1. საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი საგანი და კვლევის ასპექტები. 1.2. პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები; 1.3. კულტურის არსი, რაობა და მისი მრავალფეროვნება; 1.4. რელიგია, როგორც კულტურული ფენომენი;
2. **საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოყენებული ძირითადი მეთოდები**	2.1. მსჯელობა - ფაქტი და მოსაზრება; 2.2. ანალიზი (მიზეზ-შედეგობრივი, შედარებითი, სიტუაციური); 2.3. სოციალური სტატისტიკა და ანალიზი; 2.4. კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.
3. **ადამიანის უფლებები და თავისუფლებები**	3.1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები; 3.2. ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები; 3.3. უფლებებისა და თავისუფლებების არსი; 3.4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია; 3.5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.
4. **კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა**	4.1. კონფლიქტი: მისი მართვა, გადაჭრა, ტრანსფორმაცია, კონფლიქტის ანალიზის ტექნიკები; 4.2. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები და ტიპები; 4.3. მშვიდობა, როგორც პროცესი – მისი არსი და სწავლების სტრატეგიები; 4.4. ფორმალური და არაფორმალური სამშვიდობო განათლება.
5. **მშვიდობიანი თანაარსებობა და მრავალფეროვანი გარემო**	5.1. უმრავლესობა, უმცირესობები, მოწყვლადი ჯგუფები; 5.2. თანასწორობა და დისკრიმინაცია; 5.3. ინტეგრაცია და ასიმილაცია; 5.4. სტერეოტიპები; 5.5. ტოლერანტობა: მისი არსი და განზომილებები.
6. **დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები**	6.1. დემოკრატიის მიზნები, ღირებულებათა საფუძვლები და პრინციპები; 6.2. დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები; 6.3. დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში.

7. ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მათი ურთიერთქმედება	7.1. საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება; 7.2. საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სისტემები; 7.3. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი კომპონენტები: არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ინტერესთა ჯგუფები და არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებები; 7.4. სამოქალაქო მონაწილეობა.
8. მოქალაქეობა და მისი ასპექტები	8.1. მოქალაქეების სოციალური როლები; 8.2. მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა; 8.3. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიაში; 8.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის ინფორმირებული, დაფიქრებული და ეფექტური მონაწილეობის ფორმები. 8.5. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა.
9. გლობალური პრობლემები და მისი მოგვარების გზები	9.1. სოციალური დაავადებები – ალკოჰოლიზმი და ნარკომანია; 9.2. არასრულწლოვანთა დამნაშავეობა; 9.3. განათლება და მისი ხელმისაწვდომობა; 9.4. დევნილები და ლტოლვილები; 9.5. სიღარიბე და მისი დაძლევის გზები; 9.6. მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები; 9.7. არათანაბარი განვითარება და კორუფცია; 9.8. ტრეფიკინგი; 9.9. სახელმწიფოს ძლიერების თანამედროვე მახასიათებლები და გლობალიზაცია; 9.10. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები. 9.11 საქართველოს ურთიერთობების პრინციპები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან;
10. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები	10.1. მმართველობა და თვითმმართველობა; 10.2. ძირითადი პოლიტიკური თეორიები და მათი არსი; 10.3. სახელმწიფოს ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა; 10.4.სახელმწიფოს ტიპები: მმართველობის ფორმები, საზოგადოებრივი წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმები; 10.5 სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მახასიათებლები; 10.6. კანონის უზენაესობა და კანონიერება; 10.7. სამართლებრივი კულტურა; 10.8.საერთაშორისო სამართალის სახეები

	(ჰუმანიტარული, სისხლის სამართალი, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, შრომის და ა.შ.) და მისი მნიშვნელობა; 10.9. საქართველოში სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები; 10.10.საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან (საქართველოს კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები).
11. ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები	11.1. ძირითადი ეკონომიკური სისტემები; 11.2. ბაზრები და მათი ტიპები; 11.3. ფული და მისი ფუნქციები; 11.4. ეკონომიკური საქმიანობა, ბიზნესის ფორმები, ორგანიზება და დაფინანსება; 11.5. კეთილდღეობის არსი და მნიშვნელობა; 11.6. საზოგადოებრივი სარგებლობის საქონელი და მომსახურება; 11.7. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა; 11.8. პროფესიონალიზმი და ცოდნის ეკონომიკა; 11.9. ეკონომიკური გარემო; 11.10. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი (რეპროდუცირება);
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა (იდენტიფიცირება);
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა (ტრანსფორმაცია);
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი (პროდუცირება);
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი (თავისუფალი პროდუცირება).

ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები

- ***დავალება არჩევითი პასუხებით***

<u>**დავალების აღწერა**</u> _ დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და განსხვავებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, გამოვლენის უნარს. ამ ტიპის დავალებებით შემოწმდება ასევე საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნაც. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **რომელი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?**

ა. ევროპის სოციალური ქარტია

ბ. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილი

გ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

დ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

სწორი პასუხი: *დ.*

- **საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის წესს. კანონის თანახმად დასაშვებია:**

  ა. პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით;

  ბ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე;

  გ. მოქალაქე იყოს ერთზე მეტი პარტიის წევრი;

  დ. პარტია იყოს სამეწარმეო იურიდიული პირი;

სწორი პასუხი: *პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით. კანონის მიხედვით, პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი, ხოლო მოქალაქეთა ჯგუფს პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე შეუძლია.*

სწორი პასუხი: *ბ.*

- **ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები:**

„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო..."

რა არის ამ სიტყვების ძირითადი იდეა?

ა. ნაცისტების მიერ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განადგურების ფაქტის აღწერა;

ბ. იმის დემონსტრირება, რომ სოციალურ ჯგუფებს არ ახასიათებთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა;

გ. მოწოდება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას იმ სოციალური ჯგუფის უფლება, რომლის წევრიცაა;

დ. იმის გაცნობირება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას სხვისი უფლება, რომ თავად იყო დაცული.

სწორი პასუხი: დ

- **ყურადღებით გაეცანით დიაგრამას, რომელიც ასახავს ქალისა და მამაკაცის ქცევას ოჯახში. კერძოდ, საოჯახო საქმიანობაში მათ ჩართულობას:**



რომელი დასკვნა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა. საოჯახო საქმიანობას მხოლოდ ქალები ასრულებენ;

ბ. ჩვეულებრივ, გენდერული როლები ოჯახში მკვეთრადაა გამიჯნული;

გ. საოჯახო საქმიანობები თანაბრადაა განაწილებული ქალსა დ მამაკაცს შორის;

დ. საოჯახო საქმიანობას ოჯახში ძირითადად დაქირავებული პირი ასრულებს.

სწორი პასუხი: ბ

- *შესაბამისობის დადგენა*

<u>**დავალების აღწერა**</u> _ დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები იწერება პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მისი გამოყენების უნარს, ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების, განზოგადების, ინფორმაციათა შორის შესაბამისობის დამყარების, ინფორმაციის გაანალიზების უნარს. თითოეული დავალება 1 ან 2 ქულით ფასდება.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ეფექტური კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითარება. I სვეტში მოცემულია მსმენელთა პასუხები მოსაუბრის გამონათქვამზე, შეუსაბამეთ II სვეტში მოცემულ პასუხის ტიპებს.**

I	II
მოსაუბრე: „ძალიან მიჭირს საქმეს თავი გავართვა, იმდენი რამ მაქვს მოსაწესრიგებელი, ხარისხიანად ვერაფერს ვაკეთებ“ *მსმენელთა პასუხი:* **ა.** „შარშან ზუსტად ასე ვიყავი, ვარჯიში დავიწყე და თითქოს მეტი ენერგია გამიჩნდა. ასე საქმესაც უკეთ მოასწრებ;“ **ბ.** „მესმის, სტრესულია, როდესაც ბევრი საქმე გაქვს და წესიერად ვერაფერს ასწრებ;“ **გ.** „რას ამბობ, შენ ხომ ყოველთვის ისეთი ორგანიზებული ხარ. ალბათ გარშემომყოფები არ გაცლიან, რომ შენს საქმეს მიხედო;“ **დ.** „მართლა? სამსახურის საქმეს გულისხმობ, თუ - სახლის?;“ **ე.** „ნუ იტყვი. მეც ასე ვარ. ამ ყველაფერს დროის არასწორი განაწილება იწვევს.“	**1. აქტიური მოსმენა** **2. ინტერპრეტაცია** **3. რჩევა**

სწორი პასუხი:

I	ა	ბ	გ	დ	ე
II	3	1	2	1	2

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

- **რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყანათა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს** (Heritage Foundation, 2015). **რუკის ანალიზის საფუძველზე, დაამყარეთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის.**



I.	II.
ა. ნარინჯისფერი ბ. მწვანე გ. წითელი დ. ყვითელი	1. ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონე 2. ეკონომიკური თავისუფლების საშუალო დონე 3. ეკონომიკური თავისუფლების საშუალოზე მაღალი დონე 4. ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონე

სწორი პასუხი: **შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 1**

I	ა	ბ	გ	დ
II	2	4	1	3

- *თანმიმდევრობის განსაზღვრა*

<u>დავალების აღწერა</u> _ დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს მითითებული პრინციპის შესაბამისად (მოვლენათა ქრონოლოგია, პროცესის ეტაპების თანმიმდევრობა და სხვ.). პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ჩამონათვალის შესაბამისი ციფრი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნასა და ცოდნის გამოყენების, ინფორმაციის მოცემული პრინციპის შესაბამისად დალაგების უნარს. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **დაალაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით მათი გამოყენების ასაკის შესაბამისად:**

1. მოსამართლეობა
2. საკრებულოს წევრობა
3. საკუთარი ქონების განკარგვა
4. პრეზიდენტობის კანდიდატობა

სწორი პასუხი: ქონების განკარგვა _ 18 წლიდან, საკრებულოს წევრობა _ 25 წლიდან, მოსამართლეობა _30 წლიდან, პრეზიდენტობის კანდიდატობა _ 40 წლიდან,

3	2	1	**4***

* ბოლო პასუხი მითითებულია ცხრილში.

- **ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალი დაალაგეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელის შესაბამისად:**

1. მიღწევა, სტატუსი, რეპუტაცია
2. დაცულობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება
3. პიროვნების განვითარება და რეალიზაცია
4. ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა

სწორი პასუხი: მოტივაციის იერარქიული თეორია: უსაფრთხოება, მიკუთვნება და სიყვარული, თვითპატივისცემა, თვითაქტუალიზაცია

2*	4	1	3

* პირველი პასუხი მითითებულია ცხრილში.

○ *ღია დავალება*

<u>**დავალების აღწერა**</u> _ დავალებაში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით გაეცანით პირობას და გაეცით კონკრეტული პასუხი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ შესაბამის ადგილას. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მსჯელობის, არგუმენტირების, დასაბუთების, საკითხის ცოდნისა და ახსნის უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ახსენით, რა არის სტერეოტიპი. დაასახელეთ სტერეოტიპული შეხედულების მაგალითი. რა უარყოფითი მხარე აქვს სტერეოტიპულ აზროვნებას.**

სწორი პასუხია:

სქემატური, განზოგადებული შეხედულება რაიმე სოციალურ მოვლენაზე ან ობიექტზე. ადამიანთა ჯგუფის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენის გავრცელება (პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების მიწერა) ჯგუფის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს წარმოდგენა კონკრეტულ ინდივიდებს. (1 ქულა)

მაგალითი _ ,,გერმანელები არიან შრომისმოყვარენი“, ,,ქალები ცუდად მართავენ მანქანას“. (1 ქულა)

უარყოფითი მხარე _ სტერეოტიპული აზროვნების დროს ხდება ადამიანების ან იდეების გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია. (1 ქულა)

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. შესაბამისი მაგილითის მოყვანა _ 1 ქულა, უარყოფითი მხარის ჩვენება _ 1 ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

- **გაეცანით სქემას და დაასახელეთ საწარმოო რესურსების სახეები:**



სწორი პასუხი:

ადამიანური; ბუნებრივი; კაპიტალური;

შეფასება: სამივე რესურსის სწორად დასახელება - 2 ქულა, ორი სწორი პასუხი -1 ქულა, მხოლოდ ერთი სწორად დასახელებული რესურსი - ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

- *შეცდომის გასწორება*

<u>**დავალების აღწერა**</u>:

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული ინფორმაცია შეცდომებით არის მოცემული. პედაგოგმა უნდა იპოვეს და შეასწოროს შეცდომები. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალებების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:**

1859 წლის 24 ივნისს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ სოლფერინოში გაიმართა ბრძოლა ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის. თექვსმეტი საათის შემდეგ ბრძოლის ველზე 40 ათასი დაჭრილი და მოკლული ჯარისკაცი სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა. ნანახით შეძრწუნებულმა ნორვეგიელმა ბიზნესმენმა ანრი დიუფურმა, თავის ოთხ თანამემამულესთან ერთად 1869 წელს დაჭრილთა დახმარების კომიტეტი დააარსა. მას შემდგომში თეთრი ლენტის საერთაშორისო კომიტეტი ეწოდა. დღეისათვის ეს საერთაშორისო მოძრაობა თითქმის ყველა ქვეყანაში საქმიანობს და დაახლოებით 100 მილიონ წევრსა და მოხალისეს აერთიანებს. შემუშავდა ორი კონვენცია, რომლებიც ომის წარმოების ჰუმანიტარულ წესების განსაზღვრავენ. ჰელსინკის კონვენციების სახელით ცნობილი ეს კონვენციები, დღესაც ძალაშია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუძემდებელ დოკუმენტს წარმოადგენენ.

სწორი პასუხი:

შეცდომითაა	**უნდა იყოს**
ნორვეგიელმა	შვეიცარიელმა
ანრი დიუფურმა	ანრი დიუნანმა
1869 წელს	1863 წელს
თეთრი ლენტის	წითელი ჯვრის
ორი	ოთხი
ჰელსინკის	ჟენევის

შეფასება: ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

- *ილუსტრაციის ანალიზი*

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია ილუსტრაცია, რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ილუსტრაციის მთავარი საზრისის, პრობლემის ანალიზის, სიმბოლოების გაგებისა და საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- **გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:**

1. **რა პრობლემას ასახავს მოცემული ილუსტრაცია?**

2. **დაასახელეთ სამი ელემენტი, რომელთა გამოყენებითაც არის აგებული ილუსტრაცია და ახსენით, როგორ ქმნიან თქვენს მიერ დასახელებული საგნები ერთიან საზრისს.**

3. **იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის შესახებ.**

სწორი პასუხის ნიმუში:

1. ადამიანის მიერ ბუნებისადმი ცუდად მოპყრობას.

2. ნაჯახი; ადამიანი; ხე. ილუსტრაციის მიხედვით, ადამიანი ნაჯახის საშუალებით ჩეხავს ხეს, რომელიც საკუთარი სხეულის ნაწილს წარმოადგენს. ანუ ბუნება, რომელსაც ადამიანი ცუდად ეპყრობა, უფრო მეტად არის ადამიანთან დაკავშირებული, ვიდრე მას ხშირად წარმოუდგენია.

3. მიმაჩნია, რომ ადამიანი, ხშირად ვერ აცნობიერებს თუ რამდენად გადაჯაჭვულია ის იმ გარემოსთან, რომელშიც ცხოვრობს. ხე შეიძლება მრავალმხრივ გამოსადეგია, როგორც რესურსი, მაგრამ იგი ამავდროულად ჟანგბადს წარმოქმნის, რის გარეშე ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ანუ შეიძება ითქვას, ხის მოჭრით ჩვენ თავსაც ვიკლავთ. მეორეს მხრივ, ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანს ეხმარება სულიერ განვითარებაში, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, რომელიც შეესაბამება კითხვას 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

- ***პრობლემის გადაჭრა***

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის დასახული მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრულყოფილი აღწერა. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა სრულქმნას პროექტი ისე, რომ პროექტის მიზანი, ამოცანები და განხორციელების გზები ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს. მოცემული დავალება ამოწმებს პრობლემის გადაჭრისა და პროექტის სტრუქტურების საბაზისო ცოდნას. მოცემული დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- **დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 1)*

სასკოლო პროექტი		
1.	პროექტის მიზანი	*(ჩაწერეთ მიზანი რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
2.	პროექტის ამოცანები	<u>I ამოცანა:</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)* <u>II ამოცანა:</u> ანტინიკოტინური კამპანიის წარმართვა სკოლაში
3.	განხორციელების გზები	<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> • გამოჩენილ სპორტსმენებთან მოსწავლეთა შეხვედრების მოწყობა; • „მხიარული სტარტების“ ჩატარება; • სპორტის მოყვარულთა კლუბის შექმნა. <u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> *(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)* *<u>1.</u>* <u>2.</u> <u>3.</u>

სწორი პასუხის ნიმუში:

1.1 1 ქ.

პროექტის მიზნის შესაბამისად განსაზღვრა და მკაფიოდ ჩამოყალიბება

<u>ნიმუში:</u> სკოლაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

1.2 1 ქ.

პროექტის ამოცანის განხორციელების გზების შესაბამისად და მკაფიოდ ჩამოყალიბება

<u>ნიმუში:</u> მოსწავლეთა სპორტული აქტივობის გაზრდა;

1.3 მაქსიმალური 3 ქ.

ყოველი დასახელებული განხორციელების გზა, რომელიც ამოცანის შესაბამისია - 1 ქ.

<u>ნიმუში:</u>

- *სიგარეტის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;*
- *ანტინიკოტინური პოსტერების სასკოლო კონკურსის ჩატარება;*
- *ექიმებთან შეხვედრების მოწყობა;*
- *იმ ცნობილი ადამიანების მოწვევა, რომლებმაც მოწევას თავი დაანებეს;*
- *ანტინიკოტინური აქციების მოწყობა;*

- *არგუმენტირებული მსჯელობა*

<u>დავალების აღწერა</u>: დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი ან გრაფიკული). წყაროში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პედაგოგმა უნდა განსაზღვროს სადისკუსიო თემა, ჩამოაყალიბოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია და მოიყვანოს არგუმენტები თითოეული თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავალება ამოწმებს სადისკუსიო თემის სწორად განსაზღვრის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. დავალების მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- **გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

,,მე ჩემის შეგნებისა და გვარად მაქვს სურვილი ვემსახურო თქვენს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას და ეროვნული საქმის განმტკიცებას. საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო ის, თუ რანაირად მესმის მე ეროვნული საქმის განმტკიცება…
ეკლესიაში არ არის განსხვავება ხალხთა შორის, სისხლის შთამომავლობით სხვადასხვაობას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. …
… თაიგული მით უფრო მშვენიერია, რამდენად ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვაძლევს სხვის რწმენისა და ენის დევნილობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში."

ამბროსი ხელაია, სიტყვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართული საზოგადოების წინაშე (1918 წ).

1. ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა. დაასაბუთეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისობა მოცემულ ტექსტთან და მისი აქტუალობა.

2. დაასახელეთ ორ-ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად (თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

სწორი პასუხის ნიმუში:

1. სადისკუსიო თემა: რელიგიური პლურალიზმი **დასაბუთება:** ტექსტში ნახსენებია თაიგულის მრავალფეროვნება მასში შემავალი ყვავილების სიმრავლით გამოწვევული. ვფიქრობ ეს სწორედ რელიგიური პლურალიზმის მაგალითია. თაიგული შეიძლება გავაიგივოთ საზოგადოებასთან, ხოლო ყვავილები განსხვავებული რწმენის მოქალაქეებთან.
2. არგუმენტები: **მტკიცებითი არგუმენტები:** I. ა. ქმნის თავისუფალ გარემოს მოქალაქეებისათვის, რათა მათ ის რელიგია ირწმუნონ, რომელიც მათ სურთ. II. აღმოფხვრის დაპირისპირებას სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის, რომელიც შეიძლება გაჩენილიყო რომელიმეს შეზღუდვის შემთხვევაში.
უარმყოფელი არგუმენტები: I. ა. ხელს უწყობს სხვადასხვა სექტის განვითარებას, რომელიც შესაძლოა არ იყოს მისაღები საზოგადოების ფართო მასებისათვის. II. რელიგია ძალიან ემოციური თემაა, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის თანაარსებობა რთულია. არსებობს საშიშროება სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების.

შეფასება:

1. **მაქსიმალური 2ქულა**

2 ქულა: სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ასევე, მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი სადისკუსიო თემის მიმართება მოტანილ ნაწყვეტთან/ ნაჩვენებია თემის აქტუალობა. **1 ქულა:** თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. არის პრობლემატური, ორმხრივი, დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, თემის აქტუალურობის შესახებ მსჯელობა არადამაჯერებელია.

1 ქულა: თემა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ან ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ ტექსტს, თუმცა იძლევა დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას. მოცემულია დამაჯერებელი მსჯელობა თემის აქტუალურობის შესახებ.

0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არ შეესაბამება ტექსტს.

2. **მაქსიმალური 4 ქულა**

თითო მტკიცებითი არგუმენტი -**1 ქულა,** თითო უარმყოფელი არგუმენტი - **1 ქულა:** სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი, დადებითი ღირებულების მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით; თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.

- ***წყაროს (პრობლემის) ანალიზი***

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი, ვიზუალური), რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, პრობლემის ანალიზის, ტექსტის გაგების, საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნიმუში 1

გაეცანით ქვემოთ მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

ყოფილი პრეზიდენტების შეხვედრა, მოქმედ პრეზიდენტთან. მარცხნიდან მარჯვნივ: ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში, ბარაკ ობამა, ჯორჯ უოლკერ ბუში, ბილ კლინტონი, ჯიმი კარტერი.

კანონპროექტის განხილვა პარლამენტში.

რუსთაველის გამზირი სამოქალაქო ომის დროს.

ერთსულოვნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე.

წყარო N2

"ამას ვამჩნევ ფიქრისა და მსჯელობისას სხვას მაინც მიჰბაძონ, თუ შინაარსით არა, გარეგნობით მაინც, რომ უცხო კაცი დაესწროს, ის არა თქვას: ე, რა ღმერთი გამიწყრა, რა ველურს ხალხში მოვემწყვდიეო. აგერ, შორს რად გვინდა წასვლა, შევხედოთ ინგლისელებს. დაუკვირდეთ გლადსტონს და ირლანდიის შესახებ მის აზრის მოწინააღმდეგეთ, როგორ ეპყრობიან, რა კილოთი საუბრობენ, რა საზომი და სასწორი უჭირავთ ხელში. „მართალია, ამა და ამ აზრში მოტყუებულა გლადსტონი, მაგრამ მაინც დიდებული კაციაო, მაინც დიდებაა ინგლისისაო". აბა, კაი ბიჭი ხარ და ქართველ კაცს გააბედინებ, ათქმევინებ თავის მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად, თავით ბოლომდე, მტყუანი ხარ, მართლის თქმა, მართლის ქმნა არ ძალგიძსო. ამას ვამჩნევ მე და გული მტკივა. ამ ტკივილმა ისე იმატა, რომ თავსაც მატკიებს. ამგვარი საქციელი, ამისთანა ერთი მეორესთან დამოკიდებულება, ჩემს თავში ვერა თავსდება, გონებას მიძრწუნებს". **ვაჟა-ფშაველა, „ამას ვამჩნევ", 1861-1915.**

1. **რომელი მოსაზრება *<u>არ არის</u>* მართებული წყარო N2 ის ტექსტიდან გამომდინარე?**

ა. საქართველოში ოპონენტები ერთმანეთს უპატივცემულოდ ექცევიან;

ბ. ფორმალურად მაინც უნდა იქნას დაცული ერთმანეთთან მოპყრობის წესები;

გ. თუ მოწინააღმდეგე ტყუის, მას ეს ტყუილი უნდა მიუთითო და აიძულო ბოდიშის მოხდა;

დ. ძნელია საქართველოში ვინმეს მოწინააღმდეგეზე საქებარი სიტყვა ათქმევინო.

სწორი პასუხი: გ

2. **რა ეწოდება განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების თანაარსებობას?**

ა. ეიჯიზმი

ბ. ნეპოტიზმი

გ. პლურალიზმი

დ. ეგზისტენციალიზმი

სწორი პასუხი: გ

3. **წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელეთ რა ნეგატიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ერთმანეთის უპატივცემლობას.**

4. **ფოტო N4 -ის მიხედვით იმსჯელეთ საქართველოში დღევანდელი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე რა ნეგატიური კვალი დატოვა საბჭოთა კავშირში მისმა წევრობამ.**

5. **იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული საზოგადოებისათვის პოლიტიკურ ოპონენტებს შორის მიმდინარე დიალოგი.**

სწორი პასუხის ნიმუში:

3. პოლიტიკურ ოპონენტთა შორის დაპირირსპირების არასწორი ფორმების გამოყენებით რთულდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ამას გარდა, თუკი ოპონენტები ერთმანეთს მუდამ მტრად განიხილავენ და უარს განაცხადებენ თანამშრომლობაზე, პოლიტიკური დაპირისპირება შესაძლოა გასცდეს პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელ ჩვეულ ფორმებს და კონფლიქტში გადაიზარდოს.

4. როგორც ფოტო და მისი სათაური გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთსულოვნება პოლიტიკოსთა შორის. მსგავსი ერთსულოვნება, რომელიც რეპრესიების საშუალებით მიიღწეოდა გამორიცხავდა განსხვავებული აზრის არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ შეიმჩნევა განსხვავებული პოლიტიკური აზრის აუტანლობა და ვფიქრობ ეს სწორედ ერთპარტიული სისტემის ნეგატიურ გავლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

5. დიალოგი გვაძლევს საშუალებას გადავამოწმოთ ჩვენი შეხედულებები. სწორედ პოლიტიკურ ოპონენტთან დიალოგის დროს ვლინდება ჩვენი საკუთარი შეხედულებების მცდარობა თუ მართებულობა. ამდენად დიალოგი გვეხმარება განვითარებაში. პოლიტიკური დიალოგის არარსებობა აუცილებლად გულისხმობს მხოლოდ ერთი მოსაზრების დომინაციას, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულობის პრინციპს.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

რეკომენდებული ლიტერატურა:

- როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნისა და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2021.

- სამოქალაქო განათლება, ლექსიკონი-ცნობარი [I და II ნაწილი], მასწავლებლის ბიბლიოთეკა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010 / გაერთიანებული გამოცემა, 2011.

- გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია. დემოკრატია და მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსი [მეორე გამოცემა], საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), 2017.

- ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს მაცნე, 2008.

- ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, ლოგოს პრესი, 2004.

- თომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

ასევე, სასურველია იცნობდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნის სწავლების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. ასევე, სამოქალაქო განათლების გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს (მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებს).

ინტერნეტ რესურსები:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/

  საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკის კოლექცია და სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა შეიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი წიგნებისა და მათი ავტორების შესახებ:
  - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php
  - CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

- საქართველოს კონსტიტუცია (კონსოლიდირებული ვერსია), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

გაითვალისწინეთ, მითითებული ლიტერატურა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, შეგიძიათ ისარგებლოთ თქვენთვის ხელმისაწვდომი სხვა ლიტერატურით.

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის შესწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა ცნებით აღინიშნება პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე და „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ გაჩენამდე არსებული ჰიპოთეტური მდგომარეობა?

ა) ავტორიტარული მდგომარეობა;

ბ) სოციალური მდგომარეობა;

გ) ლეგალური მდგომარეობა;

დ) ბუნებითი მდგომარეობა.

(1) **2. რომელ წელს დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას?**

ა) 1992 წელს;

ბ) 1995 წელს;

გ) 2002 წელს;

დ) 2012 წელს.

(1) **3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებიდან რომელი *არ მიეკუთვნება* საკუთარი უფლებამოსილებების სახეს?**

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა გაწვევა სამხედრო სამსახურში;

ბ) გარე ვაჭრობის, გამოფენებისა და ბაზრების რეგულირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე მოძრაობის ორგანიზება და პარკირების წესების რეგულირება;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება და გარე განათების უზრუნველყოფა.

(1) **4. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი დებულება შეესაბამება სახელმწიფოს სოციალურ როლს?**

I. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ დემოგრაფიულ განვითარებაზე; მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.

II. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

III. სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

ა) მხოლოდ II;

ბ) მხოლოდ I და II;

გ) მხოლოდ II და III;

დ) სამივე დებულება.

(1) **5. რომელი მსჯელობა *<u>არ გადმოსცემს</u>* მართებულად ორგანიზაციებში ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს შორის განსხვავებას?**

ა) ფორმალური ჯგუფის სტრუქტურა აგებულია იერარქიულად მაშინ, როცა არაფორმალური ჯგუფი ნაკლებად სტრუქტურირებულია ან საერთოდ არ გააჩნია სტრუქტურა;

ბ) ფორმალურ ჯგუფში წევრების სოციო-ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები, ინტერესები და მისწრაფებები პრიორიტეტულია, ხოლო არაფორმალური ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია დისციპლინა, ეფექტიანობა და მორჩილება;

გ) ფორმალური ჯგუფები იქმნება ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ სპეციფიკური დავალების შესასრულებლად მაშინ, როცა არაფორმალური ჯგუფები თავად დასაქმებულთა მიერ, თავიანთი სიმპათიებისა და წარმოდგენების მიხედვით ყალიბდება;

დ) ფორმალურ ჯგუფში წევრებს შორის ურთიერთობა პროფესიულია, ისინი იკრიბებიან მხოლოდ მათთვის განკუთვნილი დავალების შესასრულებლად. არაფორმალურ ჯგუფში კი არსებობს პერსონალური ურთიერთობა წევრებს შორის, ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს, გამოცდილებებს, პრობლემებს, ინფორმაციას.

(1) **6. რომელი პრინციპი *არ უდევს საფუძვლად* ინტერკულტურულ განათლებას?**

ა) ყველა მოსწავლისათვის კულტურულად შესაფერისი და ხარისხიანი განათლების მიცემის გზით მოსწავლის კულტურული იდენტობის პატივისცემა;

ბ) მსოფლიოს ხალხთა კულტურული ასიმილაციის უზრუნველყოფა და ერებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება;

გ) საზოგადოებაში აქტიური და სრულყოფილი თანამონაწილეობის მისაღწევად, თითოეული მოსწავლის კულტურული ფასეულობებით, მიდგომებითა და უნარებით უზრუნველყოფა;

დ) მოსწავლეთათვის იმ ღირებულებების გადაცემა, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ინდივიდებს, ასევე ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის პატივისცემას, ურთიერთგაგებასა და თანადგომას.

(1) **7.** სქემა ასახავს გარემოსა და საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების ერთ-ერთ გავრცელებულ მეთოდს, ე.წ. SWOT ანალიზს. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



ა) უნიკალური რესურსების ფლობა;

ბ) ბაზარზე დაბალი რეპუტაციის ქონა;

გ) ბაზარზე ახალი კონკურენტი კომპანიის გამოჩენა;

დ) კომპანიის ერთგული კლიენტების რაოდენობის ზრდა.

(1) **8. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს?**

ა) კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება დაუშვებელია, ეკონომიკური თავისუფლება აღიარებულია და ამასთანავე სახელმწიფო ზრუნავს ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე;

ბ) ტრადიციული ეკონომიკის პრინციპები და საზოგადოებრივი წყობილების სტაბილურობისათვის აუცილებელი რესურსები დაცულია და წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას;

გ) სახელმწიფო ხელს უწყობს ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული მოდელის განვითარებას და იცავს საერთო საკუთრების ძირითად პრინციპებს, რაც ასევე ხელს უწყობს საზოგადოების თანასწორ განვითარებას;

დ) საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პროდუქციის წარმოება მთლიანად სახელმწიფო გეგმის ფარგლებში ხდება და წარმოებული საქონლის ფასი სახელმწიფოს მიერ რეგულირდება.

(1) **9. ბაზრის როგორი აღქმაა გამოხატული მოცემული ციტატით?**

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბაზარი არის ეკონომიკური კოორდინაციის აუცილებელი ფორმა და იგი სხვა ალტერნატივებზე მაღლა დგას. მაგრამ საკუთარ თავს მინდობილი ბაზარი ბრმაა როგორც საზოგადოებრივი, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. მას არ შეუძლია, დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საზოგადოებრივი სიკეთე. თავისი პოტენციალის გამოსავლენად ბაზარს სჭირდება რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს სანქციები, ეფექტიანი კანონები და უზრუნველყოს სამართლიანი ფასწარმოქმნა.“

ა) ანარქისტული;

ბ) კონსერვატიული;

გ) სოციალ-დემოკრატიული;

დ) ლიბერტარულ-დემოკრატიული.

(1) **10. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად პოპკულტურასა და სუბკულტურას შორის განსხვავებას?**

ა) პოპკულტურა ძირითადად მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ შრეებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ეკონომიკურ მხარესთან და განსაზღვრავს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხარისხს. სუბკულტურის ელემენტები კი ძირითადად უკავშირდება ადამიანის ესთეტიკურ გემოვნებას და მოიცავს ყველა სოციალურ ჯგუფს, განურჩევლად მათი ეკონომიკური და სოციალური სტატუსისა;

ბ) პოპკულტურა დროის მოცემულ მონაკვეთში საზოგადოებაში გაბატონებული კულტურული ელემენტებისაგან შედგება და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს. მისგან განსხვავებით სუბკულტურა ნორმებისა და ღირებულებების ისეთი სისტემაა, რომელიც განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას საზოგადოებაში გაბატონებული კულტურისაგან;

გ) სუბკულტურისა და პოპკულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები დროის მოცემულ მონაკვეთში ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა დროის სვლასთან ერთად ისინი იძენენ ახალ შინაარსებს. პოპკულტურის ელემენტები დროთა განმავლობაში საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც კაცობრიობის კულტურული და ესთეტიკური ნიმუშები, ხოლო სუბკულტურის ელემენტებად წარმოჩინდება მარგინალიზებული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ღირებულებები;

დ) პოპკულტურა ყოველთვის დაპირისპირებაშია სუბკულტურასთან, ვინაიდან ის აერთიანებს იმ სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების ვიწრო ჯგუფებისთვის და ეწინააღმდეგება საზოგადოების ტრადიციულ ღირებულებებს. სუბკულტურა კი ემხრობა მოცემულ დროსა და სივრცეში მყარად ფესვგადგმული იდეებისა და რწმენების საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინა პლანზე წამოწევას.

(1) 11. ინფოგრაფიკა ასახავს საქსტატის 2022 წლის IV კვარტლის მონაცემებს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის შესახებ:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

ა) ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი, ასევე მისი ზრდის მაჩვენებელი განათლების სფეროშია;

ბ) ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი, ასევე მისი ზრდის მაჩვენებელი მშენებლობის სფეროშია;

გ) საშუალო ხელფასის უფრო დაბალი ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად, კაცის საშუალო ხელფასი აღემატება ქალისას;

დ) სამეწარმეო სფეროში, არასამეწარმეო სფეროსთან შედარებით, მაღალია როგორც საშუალო ხელფასი, ასევე მისი ზრდის მაჩვენებელი.

(1) **12. დავალებაში მოცემულია კავკასიის რესურს ცენტრის 2018 წლის კვლევის ,,გამოკითხვა პოლიტიკური და სოციალური საკითხების შესახებ“ შედეგები:**

- საქართველოს მოსახლეობის 80,1% მიიჩნევს, რომ კარგი განათლების მისაღებად კარგი ფინანსური მდგომარეობა აუცილებელია. დაახლოებით იგივე რაოდენობა (78,8%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ კარგი განათლების მისაღებად საჭიროა ნიჭი.
- საქართველოს მოსახლეობის 31,6% ამბობს, რომ მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 36,8% ამბობს, რომ მიღებული აქვს მხოლოდ სრული საშუალო განათლება.
- საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 24% ამბობს, რომ უმაღლესი განათლების დიპლომს ფლობს მაშინ, როცა იმავე კითხვაზე დადებითად თბილისის მოსახლოების 50.2% პასუხობს.
- საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0,5% აქვს უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) რეგიონებში უმაღლესი განათლება მეტად ხელმისაწვდომია, ვიდრე თბილისში;

ბ) გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს მხოლოდ სრული საშუალო განათლება აქვს;

გ) ქართულ საზოგადოებაში ყველაზე დიდი ღირებულება სამეცნიერო ხარისხის ფლობაა;

დ) მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ნიჭი საკმარისი პირობაა კარგი განათლების მისაღებად.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) **13. დავალებაში მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციები დაალაგეთ ქრონოლოგიურად მათში საქართველოს გაწევრიანების თარიღის მიხედვით:**

		5*		

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(2) **14. I სვეტში მოცემულ ციტატებს პოლიტიკურ მოღვაწეთა საჯარო გამოსვლებიდან შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული ავტორები:**

I. ციტატები საჯარო გამოსვლებიდან	II.პოლიტიკური მოღვაწეები
ა) ,,მე მაქვს ოცნება, რომ ერთ დღესაც ჯორჯიის წითელ ბორცვებზე, ყოფილი მონის შვილები და ყოფილი მონათმფლობელთა შვილები შეძლებენ, ერთად დასხდნენ ძმობის მაგიდასთან. მე მაქვს ოცნება, რომ ჩემი ოთხი მცირეწლოვანი შვილი ერთ დღესაც იცხოვრებს ქვეყანაში, სადაც ისინი არ განისჯებიან მათი კანის ფერით, არამედ მათი პიროვნული ხასიათით.“	
ბ) ,,ჩემი თავი აფრიკელი ხალხის ამ ბრძოლას მივუძღვენი. ვიბრძოდი თეთრკანიანთა დომინაციის წინააღმდეგ, და ვიბრძოდი შავკანიანთა დომინაციის წინააღმდეგ. ვზრუნავდი დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების იდეალისთვის, რომელშიც თითოეული პიროვნება ერთად ჰარმონიაში და თანაბარი შესაძლებლობებით ცხოვრობს. ეს არის იდეალი, რომლისთვისაც ცხოვრება და მიღწევა მეიმედება. მაგრამ თუ საჭირო იქნება, ეს არის იდეალი, რომლისთვისაც მზად ვარ, მოვკვდე.“	1. რონალდ რეიგანი 2. მარტინ ლუთერ კინგი
გ) ,,ჩვენ ვიბრძოლებთ მოედნებზე და ქუჩებში, ჩვენ ვიბრძოლებთ მთებში; ჩვენ არასდროს დავნებდებით, და თუ ეს კუნძული ან მისი დიდი ნაწილი დაპყრობილი იქნა და შიმშილმა შეიპყრო, რისიც არცერთი წამით არ მჯერა, მაშინ ჩვენი იმპერია ზღვებს მიღმა, ბრიტანული ფლოტით შეიარაღებული და დაცული, გააგრძელებს ბრძოლას იქამდე, ვიდრე ახალი სამყარო, მთელი თავისი ძალითა და ენერგიით, წინ წამოიწევა ძველი სამყაროს გამოსახსნელად და გასათავისუფლებლად.“	3. ვინსტონ ჩერჩილი 4. ნელსონ მანდელა
დ) ,,არის კი ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირში სიღრმისეული ცვლილებების მომასწავებელი? თუ უმნიშვნელო ჟესტია, დასავლეთში ფუჭი იმედების გასაჩენად? იქნებ, საბჭოთა სისტემის გაძლიერების მცდელობაა, მისი შეცვლის გარეშე? ჩვენ მივესალმებით ცვლილებებსა და ღიაობას, ... გენერალურო მდივანო გორბაჩოვ, თუ მართლაც გსურთ მშვიდობა და კეთილდღეობა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისთვის, თუ მართლაც გსურთ ლიბერალიზაცია: მოდით აქ, ამ კარიბჭესთან! ბატონო გორბაჩოვ, გახსენით ეს კარიბჭე! ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“	

(2) **15. I სვეტში მოცემულ დისკრიმინაციის სხვადასხვა გამოვლინებებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული დისკრიმინაციის ფორმები:**

I. დისკრიმინაციის გამოვლინებები	II. დისკრიმინაციის ფორმები
ა) უცხოელის ან უცხო კულტურის მიმართ პათოლოგიური შიში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვლინდება ყოველივე უცხოს მიმართ ზიზღსა და მტრულ დამოკიდებულებაში.	1. ეიჯიზმი 2. მიზოგინია 3. ჰომოფობია 4. ქსენოფობია 5. ეიბლიზმი
ბ) განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ სიძულვილი, რაც ხშირად გამოიხატება ფუნდამენტალისტურ საზოგადოებებში მათ მიმართ აგრესიითა და მტრობით.	
გ) ადამიანების მარგინალიზება და სტიგმატიზირება მათი ასაკის გამო, რაც ხშირად გამოიხატება ასაკოვანი და ხანში შესული ადამიანების მიმართ უარყოფითი ან დამამცირებელი მოპყრობით.	
დ) ქალთა მიმართ სიძულვილი ან წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც ვლინდება პატრიარქალურ საზოგადოებებში ქალების სოციალური როლის დაკნინებასა და არასრულფასოვან არსებებად წარმოდგენაში.	
ე) ნეგატიური წინასწარგანწყობა შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების მიმართ, რომელიც ემყარება ტიპური განვითარების მქონე ადამიანებთან შედარებით მათი არასრულფასოვნების დაშვებას.	

(1) **16.** რუკა ასახავს 2022 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მშვიდობის ხარისხს. I სვეტში მოცემულ ქვეყნებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული ხარისხები:



I. ქვეყნები	II. მშვიდობის ხარისხი
ა) ირლანდია	1. ძალიან მაღალი
ბ) ავღანეთი	2. მაღალი
გ) ეგვიპტე	3. საშუალო
დ) შვედეთი	4. დაბალი
ე) თურქეთი	5. ძალიან დაბალი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) **17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:**

დემოკრატიული არჩევნები

დემოკრატია ლათინური სიტყვაა და ხალხის მმართველობას ნიშნავს. ანტიკური ხანის ქალაქ-სახელმწიფოებში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები მოქალაქეთა უმრავლესობის ნებით, პირდაპირი კენჭისყრის წესით წყდებოდა საერთო-სახალხო კრებებზე. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც გადაწყვეტილებებს უმრავლესობის ნებით იღებენ, თუმცა კანონმდებლობით ასევე დაცულია უმცირესობათა ინტერესები და უფლებები. იმისათვის, რომ უმრავლესობის ძალაუფლება არ გადაიზარდოს უმრავლესობის ტირანიაში, ამიტომ საჭიროა მისი შეზღუდვა კანონებით, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. სწორედ ამიტომ დემოკრატიას „უმცირესობის შეზღუდულ ძალაუფლებას“ უწოდებენ. გარდა ამისა, ანტიკური ხანისაგან განსხვავებით, თანამედროვე სახელმწიფოებში მოქალაქეები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს, რომლებსაც აკისრებენ გარკვეულ მოვალეობებს და ანიჭებენ გარკვეულ უფლებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საერთო-სახალხო აზრის გასაგებად და საბოლოოდ გადასაწყვეტად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იმართება პლებისციტი, რომელსაც კანონის ძალა აქვს.

ხელისუფლებას, რომლის ძალაუფლებასაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ნებაყოფლობით აღიარებს და მხარს უჭერს, ლეგიტიმური ეწოდება. ასეთი ხელისუფლება ცდილობს, არ დაკარგოს ხალხის

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

ნდობა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს საზოგადოების ინტერესების დაცვას. ვინაიდან ხალხის აზრი დროთა განმავლობაში იცვლება, ამიტომ არჩევნები გარკვეული პერიოდულობით ტარდება. არჩევნების პერიოდულობა ასევე ამცირებს ხელისუფლების ძალაუფლების უკონტროლოდ და ბოროტად გამოყენების საფრთხეს. მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის როგორც პასიური, ასევე აქტიური უფლება აქვთ. აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს მოქალაქის უფლებას, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად. პირი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია რეგისტრაციისათვის შესაბამის საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატია. ყველა იმ მოქალაქეს, რომლებსაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ელექტორატი ეწოდება.

არჩევნებში ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებს აქვთ 21 წლის ასაკიდან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც პარლამენტის განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინებისათვის არჩევნები კენჭისყრის ღიაობის პრინციპის დაცვით იმართება, რომელიც გულისხმობს ამომრჩევლის მიერ საარჩევნო კაბინაში შევსებული ბიულეტენის სხვა პირის დანახვის შესაძლებლობის გამორიცხვას. ამ პრინციპის დარღვევა, ისევე როგორც ამომრჩევლის იძულება და დაშინება, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია. აღნიშნული ქმედება იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას ჩაწერეთ დავალების პირობის ადეკვატური, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) **18.** სქემა არასრულად ასახავს საქართველოს სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. შეავსეთ სქემა:

საერთაშორისო დოკუმენტი	ორგანიზაცია	მიღების თარიღი	მიღების ადგილი
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია	ევროპის საბჭო	1950 წელი	**18.1**
18.2	გაერო	1948 წელი	პარიზი
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია	**18.3**	2006 წელი	ნიუ-იორკი
კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ	გაერო	**18.4**	ნიუ-იორკი

(3) **19.** მოცემულია 2020 წლის მსოფლიო რუკა ლეგენდის გარეშე. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) **19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?**

ა) გოგონათა განათლების უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

ბ) ქალთათვის კანონმდებლობით საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

გ) სახელმწიფოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა მონაწილეობა;

დ) ვაჟიშვილისათვის უპირატესობის მინიჭება და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა დაბადებამდე.

(1) **19.2 დაასახელეთ აზიის ორი ქვეყანა, რომლებშიც მდგომარეობა ყველაზე მძიმეა.**

(1) **19.3 რუკის მონაცემების საფუძველზე დაასახელეთ, რა მდგომარეობაა საქართველოში და იმსჯელეთ ამ მდგომარეობის განმაპირობებელ მიზეზებზე.**

(5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 20.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 20.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 20.1)*

(1)	20.1	<u>**პროექტის მიზანი:**</u> *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(1)	20.2	<u>**პროექტის I ამოცანა:**</u> **მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ტიპის ადიქციის (ფიზიკური თუ ფსიქიკური დამოკიდებულების) მავნე შედეგების გაცნობიერება.** <u>**პროექტის II ამოცანა:**</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა II ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(3)	20.3	<u>**I ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).* 1. 2. 3. <u>**II ამოცანის განხორციელების გზები:**</u> 1. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მონაწილეობით სასკოლო ღონისძიების მოწყობა „ერთი დღე სოციალური ქსელების გარეშე“; 2. სპორტული ღონისძიებების მოწყობა მოსწავლეთა მონაწილეობით; 3. შეჯიბრის ორგანიზება კლასებს შორის ,,კვირის რაციონი მავნე საკვების გარეშე“.

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:

(1) 21.1 რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

(1) 21.2 იმსჯელეთ არგუმენტირებულად პრობლემის გამომწვევ მიზეზზე?

(2) 21.3 იმსჯელეთ, რა პრობლემას უქმნის აღნიშნული მოვლენა საზოგადოების ფუნქციონირებას და როგორ შეიძლება მასთან გამკლავება.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„არ არსებობს მორალურად მნიშვნელოვანი განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის, რომელიც გაამართლებდა ცხოველების იქიდან გარიცხვას, რასაც მე „მორალურ არენას“ ან „მორალურ საკითხთა სრულ ნუსხას“ ვუწოდებ. როგორც კანის ფერი ან გენდერი არ ამართლებს ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციას, ცხოველთა შესახებ გარკვეული წარმოდგენებიც - მაგალითად ის, რომ მათ არ აქვთ სული, ან ისინი ევოლუციითა თუ ძალით ადამიანებს ჩამოუვარდებიან, ან ის, რომ მათ არ აქვთ გონება თუ ენა - ვერ გაამართლებს მათ ექსკლუზიას.

ცხოველთა გამოკვლევას როდესაც ეხება საქმე, ამ მსჯელობას მორალური მნიშვნელობა აქვს ინვაზიური ექსპერიმენტებისათვის. ჩვენი სოციალური ეთიკა არ გვაძლევს ადამიანების გამოყენების უფლებას ცოდნის გაღრმავებისა თუ ადამიანების განკურნებისათვის, მათი ღია და გააზრებული დასტურის გარეშე. შესაბამისად, როდესაც ეთიკურ ჭრილში განვიხილავთ რაიმეს დაზიანებას მისი ნების წინააღმდეგ - თუნდაც ეს იყოს ცხოველი - იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ასეთი ქმედება მინიმუმ უკიდურესად პრობლემურია.“

ბერნარდ როლინი, 1943-2021 წლები.

(1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობის შესახებ.

(4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) 23. გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

1933 წლის 10 მაისს ათიათასობით ადამიანმა მოიყარა თავი ბერლინის ერთ-ერთ მოედანზე, სადაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებმა და მოხალისეებმა მთავრობისთვის მიუღებელი ათასობით წიგნი დაწვეს.

წყაროებზე გადასვლა: 2 3 4 5 6 7

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N2

„თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, კინო, პრესა და პლაკატები, გახრწნილი სამყაროს გამოვლინებისაგან უნდა დაიწმინდოს და ზნეობრივი სახელმწიფოსა და კულტურის იდეის სამსახურში უნდა ჩადგეს. [...] ყველა ამ საკითხში მიზანი და გზა უნდა განისაზღვროს ჩვენი ერის ხორცისა და სულის სიჯანსაღის შენარჩუნების მიხედვით. პირადი თავისუფლების უფლება უკან იხევს, როდესაც საქმე რასის გადარჩენის მოვალეობას ეხება.“

ადოლფ ჰიტლერი, „ჩემი ბრძოლა“, 1933 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *3* *4* *5* *6* *7*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N3

,,იქ, სადაც წიგნებს წვავენ, ბოლოს ადამიანებსაც დაწვავენ“.

ჰაინრიხ ჰაინე, ,,ალმანსორი“, 1821 წელი.

წყარო N4

„წიგნები მუდამ აკრძალული არ იქნება. ისინი არ დაიწვება. იდეები ცეხეში ვერ წავლენ. ისტორიის დიდ მანძილზე ცენზორი და ინკვიზიტორი ყოველთვის აგებს. ცუდი იდეების წინააღმდეგ ერთადერთი სარწმუნო საშუალება კარგი იდეებია. კარგი იდეების წყარო თავისუფლებაა.“

ალფრედ უიტნი გრისვოლდი, ,,ესეები განათლების შესახებ“, 1954 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *5* *6* *7*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N5

,,საზოგადოებებს, სადაც ინფორმაცია ცენზურას ექვემდებარება, არ აქვს „მცდარი ობიექტურობის“ ქონის ფუფუნება, ვინაიდან არ არსებობს რეალური მრავალფეროვნება. თავისუფალ ცივილიზაციებში მცდარ ობიექტურობას ჭეშმარიტი ობიექტურობით ებრძვიან და არა რაღაც უცხო ბიუროკრატიით. მიკერძოებულ ისტორიას უკუაგდებენ, ან სულ მცირე, უპირისპირდებიან სერიოზული ისტორიით, ხოლო კორუმპირებული ჟურნალისტიკა მხოლოდ პატიოსანი ჟურნალისტიკით შეიძლება იქნას დამარცხებული და არა სამთავრობო კომისიებით, რომელთა პირველივე განკარგულება საიდუმლო სუბსიდიების გაცემა იქნება. თავისუფალი პრესა ყოველთვის მართალი და პატიოსანი არ არის ისევე, როგორც თავისუფალი ადამიანი არ არის ყოველთვის მართალი და პატიოსანი.“

ჟან ფრანსუა რეველი, ,,ტოტალიტარიზმის ცდუნება“, 1976 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 4 6 7 *დავალებებზე გადასვლა:* 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N6

,,შეხედულება, რომლის ჩახშობასაც ძალით ცდილობენ, შეიძლება ჭეშმარიტი იყოს. რა თქმა უნდა, ისინი, ვინც მის ჩახშობას ცდილობენ, მის ჭეშმარიტებას უარყოფენ; მაგრამ ისინი არ არიან უცდომელნი. მათ არა აქვთ უფლებამოსილება, საკითხი მთელი კაცობრიობისთვის თავად გადაწყვიტონ და სხვას ყველას წაართვან განსჯის საშუალება. შეხედულების მოსმენაზე უარის თქმა იმიტომ, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან მის სიმცდარეში, ნიშნავს იმის დაშვებას, რომ მათი უცდომლობა იგივეა, რაც აბსოლუტური უცდომლობა. დისკუსიის ყოველგვარი ჩახშობა უცდომლობის დაშვებაა“.

ჯონ სტიუარტ მილი, ,,თავისუფლების შესახებ“, 1859 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 4 5 7 *დავალებებზე გადასვლა:* 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N7

„თავად ცენზურა ყველაზე ცუდი ბოროტება არ არის. ყველაზე ცუდი - და ის არის ცენზურის შედეგი - თვითცენზურაა, ვინაიდან ის გრეხს ხერხემლებს, ის ამსხვრევს ხასიათს, რადგანაც უნდა ვიფიქრო ერთი და ვთქვა მეორე, ყოველთვის ვაკონტროლო ჩემი თავი. მე ვწყვეტ გულახდილად ყოფნას, მე ვხდები ფარისეველი - და ეს არის ის, რაც მათ უნდათ. მათ უნდათ, რომ ყველამ იგრძნოს თავი დამნაშავედ.“

ინტერვიუ მილოშ ფორმანთან, 1997 წლის 18 იანვარი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5* *6*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

(1) **23.1 ჯონ სტიუარტ მილის ტექსტის მიხედვით:**

ა) ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება შეზღუდოს სხვისი შეხედულება, თუკი ის საკუთარ უცდომელობაში დარწმუნებულია;

ბ) მხოლოდ იმ აზრის ჩახშობა შეიძლება, რომლის სიმცდარეზეც ზოგადსაკაცობრიო შეთანხმება არსებობს;

გ) საპირისპირო აზრის ჩახშობა საფრთხეს უქმნის ისეთი მოსაზრების არსებობას, რომელიც შესაძლოა ჭეშმარიტი იყოს;

დ) საპირისპირო აზრის ჩახშობის უფლება ინდივიდუალურად არავის აქვს. ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა.

(1) **23.2 ჟან ფრანსუა რეველის ტექსტის მიხედვით, თავისუფალ ცივილიზაციაში:**

ა) ყველა თავისუფალი ადამიანი მართალი და პატიოსანი არ არის, თავისუფალი პრესა კი ყოველთვის ობიექტურია;

ბ) ჟურნალისტიკა გაჯერებულია ბიუროკრატიული ელემენტებით, რასაც ხელს უწყობს სუბსიდიების გაცემა;

გ) ინფორმაციის ობიექტურობის უზრუნველყოფის მთავარი იარაღი სამთავრობო კომისიების შექმნა და ცენზურის დაწესებაა;

დ) ინფორმაციული მრავალფეროვნება ეხმარება საზოგადოებას განასხვავოს მცდარი და ჭეშმარიტი ობიექტურობა.

(1) 23.3 N7 წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, რატომაა თვითცენზურა ცენზურაზე დიდი ბოროტება.

(1) 23.4 დაასაბუთეთ N4 წყაროში მოყვანილი მოსაზრება, რომ კარგი იდეების წყარო თავისუფლებაა.

(1) 23.5 ახსენით, რა ლოგიკური ბმა არსებობს ჰაინეს ციტატაში მოყვანილ წიგნების დაწვასა და ადამიანების დაწვას შორის?

(2) 23.6 N2 წყაროს მიხედვით, რის დათმობას ითხოვდა ადოლფ ჰიტლერი „რასის გადარჩენისათვის“? იმსჯელეთ, რა შედეგი მოიტანა ამ დათმობამ გერმანიის საზოგადოებისათვის.

(2) 23.7 რომელი არგუმენტით უპირისპირდება ცენზურას ჯონ სტიუარტ მილი N6 წყაროში? მოიყვანეთ ცენზურის საწინააღმდეგო კიდევ ერთი არგუმენტი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5* *6* *7*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2*

2024 წელი

სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ტესტის შეფასების სქემა

<table>
<tr><th>დავალება №</th><th>სწორი პასუხი</th><th>მაქსიმალური შეფასება</th></tr>
<tr><td></td><td>I. ცოდნა და უნარები</td><td></td></tr>
<tr><td>1.</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>2.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>3.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>4.</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>5.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>6.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>7.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>8.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>9.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>10.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>11.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>12.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>13.</td><td><table><tr><td>2</td><td>3</td><td>5</td><td>1</td><td>4</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>14.</td><td><table><tr><td>I.</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>II.</td><td>2</td><td>4</td><td>3</td><td>1</td></tr></table>
2 ქულა: 4 სწორი პასუხი; 1 ქულა: 3 ან 2 სწორი პასუხი;
0 ქულა: 1 და 1-ზე ნაკლები სწორი პასუხი.</td><td>2</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>15.</td><td>
<table>
<tr><td>I.</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td></tr>
<tr><td>II.</td><td>4</td><td>3</td><td>1</td><td>2</td><td>5</td></tr>
</table>

2 ქულა: 5 სწორი პასუხი; **1 ქულა:** 4 ან 3 სწორი პასუხი;
0 ქულა: 2 და 2-ზე ნაკლები სწორი პასუხი.
</td><td>2</td></tr>
<tr><td>16.</td><td>
<table>
<tr><td>I.</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td></tr>
<tr><td>II.</td><td>1</td><td>5</td><td>3</td><td>2</td><td>4</td></tr>
</table>
</td><td>1</td></tr>
<tr><td>17.</td><td>
ყოველი მართებულად შესწორებული
შეცდომა ფასდება 1 ქულით
<u>ნიმუში:</u>
<table>
<tr><th></th><th>შეცდომა</th><th>სწორი პასუხი</th></tr>
<tr><td>17.1</td><td>ლათინური</td><td>ბერძნული</td></tr>
<tr><td>17.2</td><td>უმცირესობის</td><td>უმრავლესობის</td></tr>
<tr><td>17.3</td><td>პლებისციტი</td><td>რეფერენდუმი</td></tr>
<tr><td>17.4</td><td>აქტიური</td><td>პასიური</td></tr>
<tr><td>17.5</td><td>21 წლის</td><td>18 წლის</td></tr>
<tr><td>17.6</td><td>პარლამენტის</td><td>სასამართლოს</td></tr>
<tr><td>17.7</td><td>ღიაობის</td><td>ფარულობის</td></tr>
</table>

<u>შენიშვნა:</u> შეფასების დროს სწორ პასუხში 1 ქულა იწერება შეცდომათა მოცემული ნუმერაციის შესაბამისად, აპლიკანტის პასუხების ფურცელზე შეცდომათა თანმიმდევრობის მიუხედავად.
</td><td>7</td></tr>
</table>

18.	**18.1 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **18.2 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **18.3 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **18.4 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას.	**4**
19.	**19.1 დ.** **19.2 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი, პასუხი კონკრეტულია, არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **19.3 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დავალების პირობის შესაბამისი არგუმენტირებული მსჯელობა. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია /არასრულია/ არ შეესაბამება დავალების პირობას. *შენიშვნა: 19.2 და 19.3 შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორადაა ამოცნობილი რუკა*	**3**

20.	**20.1 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** პროექტის მიზანი ამოცანების შესაბამისად არის განსაზღვრული და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **20.2 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** პროექტის ამოცანა განხორციელების გზების შესაბამისად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **20.3 მაქსიმალური 3 ქულა** **1 ქულა:** ყოველი მკაფიოდ ფორმულირებული, დამოუკიდებელი განხორციელების გზა, რომელიც მოცემული ამოცანის შესაბამისია; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / ზოგადია, არ იძლევა მისაღწევი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობას / არ შეესაბამება დავალების პირობას.	**5**
21.	**21.1 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი მსჯელობა; აზრი მკაფიოდ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული; პასუხი სრულია; არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **21.2 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული არგუმენტირებული მსჯელობა; პასუხი სრულია; არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **21.3 მაქსიმალური 2 ქულა** **2 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტირებული მსჯელობა; პასუხი სრულია; არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტირებული მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს, თუმცა პასუხი არასრულია და აკმაყოფილებს ორი პირობიდან მხოლოდ ერთს; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას / მსჯელობა ზოგადია, არ ჩანს საკითხის თეორიული ცოდნა / მსჯელობა არაა არგუმენტირებული.	**4**

22.	**22.1 მაქსიმალური 1ქულა** **1 ქულა:** სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს, შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ახსნილია სადისკუსიო თემის მიმართება მოცემულ ტექსტთან, ნაჩვენებია თემის აქტუალობა. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **22.2 მაქსიმალური 4 ქულა** თითო მტკიცებითი არგუმენტი - **1 ქულა** თითო უარმყოფელი არგუმენტი - **1 ქულა** სადისკუსიო თემის შესაბამისი, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება თითო ქულით; თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.	5
23.	**23.1 გ 23.2. დ** **23.3 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას. **23.4 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული არგუმენტირებული მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას. **23.5 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.	9

	23.6 მაქსიმალური 2 ქულა **2 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას. **23.7 მაქსიმალური 2 ქულა** **2 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას. <u>შენიშვნა:</u> ღია დავალებებში მოცემული მსჯელობა, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ შეხედულებებს, არ შეფასდება.	
	ტესტის მაქსიმალური ქულა	**55**